პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 209 (4203)

1970 წ. 24 ოქტომბერი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

◆ **ფენიქსი, 23 ოქტომბერი.** კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიხვეჭა აქ გამართულ მსროლელთა მსოფლიო ჩემპიონატში სსრ კავშირის ვაჟთა გუნდმა, რომელმაც მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში (სტანდარტი 3×20) დააგროვა 2270 ქულა.

◆ **სოჭი, 23 ოქტომბერი.** დიდოსტატებისა და ახალგაზრდა ოსტატების საჭადრაკო ტურნირში 7 ტურის შემდეგ დაწინაურდა მ. ტალი, რომელსაც 6,5 ქულა აქვს. მას 1,5 ქულით ჩამორჩება ვ. კორჩნოი. ოსტატებიდან 5 ქულა დააგროვა გ. ტუქმაკოვმა.

◆ **თბილისი, 23 ოქტომბერი.** ახალი მსოფლიო რეკორდები დამყარდა საქართველოს ტერიტორიაზე გამართულ პარაშუტისტთა შეჯიბრებაში. 600 მეტრიდან ხტომაში ჯგუფი — ლ. გოგეშვილის, დ. კოლუტის, ვ. ბონდარენკოს შემადგენლობით ზუსტად დაეშვა წრის ცენტრში. 2 ათას მეტრიდან ღამით ხტომაში 9 სპორტსმენმა 17 ხანტმეტრით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. 800 მეტრიდან კომბინირებულ დღისით ხტომაში პარაშუტისტმა ქალებმა 12 სმ-ით გააუმჯობესეს მსოფლიო რეკორდი, რომელიც გდრ-ს სპორტსმენებს ეკუთვნით. კიდევ ერთი მსოფლიო მიღწევის ავტორები გახდნენ 1000 მეტრიდან ხტომის მონაწილეები.

ლიდერი შეიცვალა

შვრგანა, 22 ოქტომბერი. საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობს საკავშირო. მრავალდღიანი ველორბოლა. დღეს საშუალედო ფინიშთან პირველი იყვნენ ვეტერანი გ. საიდუჭინი (სოჭი) და რიგელი რ. კალნენიეკსი. ა. შუევი გამოეთხოვა ლიდერის იისფერ მაისურს. იგი გადაეცა ა. გუსიატნიკოვს (კუიბიშევი).

გ. ყაყიჩაშვილის ვერცხლი

დუშანბე, 22 ოქტომბერი. ფიზკულტურის ტექნიკუმის ახალი სპორტული დარბაზის სარბიელი სამბისტთა საკავშირო პირველობის მონაწილეებს დაეთმო. საინტერესო გამოდგა უმჩატესი წონის ათლეტთა ახპარეზობა. აქ ფავორიტად თვლიდნენ შარშანდელ ჩემპიონს, ომსკელ დინამოელს ა. ხოშხა და სსრ კავშირის ეკს-ჩემპიონს, ტაშკენტელ ტ. რუზიკულოვს. და აი, დაიწყო შეჯიბრება და მოხდა პირველი სენსაციაც. თბილისელმა სპორტსმენმა გ. ყაყიჩაშვილმა დაამარცხა ტაშკენტელი და ჩემპიონობისათვის სასტიკი ბრძოლა გაუმართა ხოშს. ყაყიჩაშვილი II ადგილზე აღმოჩნდა. III ადგილი დაიკავა რუზიკულოვმა.

ჯერ კიდევ ადრეა

● **ჰავანა, 22 ოქტომბერი.** ცნობილი კუბელი მოკრივის გ. ა. კარდინის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში 5 ქვეყნის — ბულგარეთის, გდრ-ის, კუბის, სსრ კავშირისა და უნგრეთის მოკრივეები მონაწილეობენ. პირველ შეხვედრაში წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა — ვ.ზაპოროჟეცმა (უმჩატესი წონა), ვ. პეტუხოვმა (მეორე ქვესაშუალო), ო. კარატაევმა (ქვემძიმე წონა).

● **სოსნოვიი, 22 ოქტომბერი.** აქ სტუმრად მყოფმა რსფსრ-ს ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა ფრედ — 0:0 ითამაშა პოლონეთის ჭაბუკთა მეორე ნაკრებთან.

● **ოსლო, 22 ოქტომბერი.** აქ შედგა ნორვეგიისა და გდრ-ის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 8:1.

● **ვარშავა, 22 ოქტომბერი.** ოლიმპიურ წელიწადს ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში პირველად ჩატარდება პოლონეთში. ასე გადაწყვიტა მოყვარულ მოჭიდავეთა საერთაშორისო ფედერაციამ.

● **ჰელსინკი, 22 ოქტომბერი.** ფინეთის დედაქალაქში ტურნეს ატარებენ ლენინგრადის „სპარტაკის" კალათბურთელები. სტუმრებმა უკვე გამართეს ორი მატჩი და ორივე მოიგეს: ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთან — 94:59 და „კუოვოს" გუნდთან — 80:59.

წინაა საბჭოთა გუნდი

ფენიქსი, 22 ოქტომბერი. საბჭოთა მსროლელებმა აქ გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში კიდევ 4 ოქროს მედალი მოიხვეჭეს. მცირეკალიბრიანი შაშხანით ჩოქებულა სროლაში (40 გასროლა) ჩემპიონი გახდა გუნდი ვ. პარხიმოვიჩის, ო. ლაპკინის, გ. აგიშევისა და ს. ერმილოვის შემადგენლობით. გამარჯვებულის შედეგია 1544 ქულა. ვერცხლის მედლები მოიპოვეს აშშ-ს სპორტსმენებმა — 1540, ბრინჯაოსი — გფრ-ის წარმომადგენლებმა — 1534. მესამე ოქროს მედლის მფლობელი გახდა ვ. პარხიმოვიჩი. მცირეკალიბრიანი შაშხანით სამივე მდგომარეობიდან სროლაში მან 1160 ქულა მოაგროვა. II ადგილი დაიკავა ამერიკელმა ჯ. რაიტერმა — 1156. გუნდურ ჩათვლაში პირველობდნენ სსრ კავშირის სპორტსმენები — 4590.

ბნევმატური შაშხანით სროლაში I ადგილი დაიკავა თ. ჩერკასოვამ (სსრ კავშირი) — 373. გუნდური პირველობა დაისაკუთრეს იუგოსლავიელმა მსროლელებმა — 1102. მათ 4 ქულით ჩამორჩნენ სსრ კავშირის წარმომადგენლები. ვაჟებში ჩემპიონი გახდა გ. კუსტერმანი (გფრ) — 387. გუნდური პირველობა მოიგო გფრ-ის კოლექტივმა — 1512.

პისტოლეტით სწრაფსროლაში იმარჯვა იტალიელმა ჯ. ლივერზანიმ — 598. ეს შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია. გუნდურ პირველობაში ყველას აჯობეს ჩეხოსლოვაკიელებმა — 2366. მრგვალ სტენდზე მსოფლიო ჩემპიონი გახდა ფრანგი ვ. კარედა — 197.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ საბჭოთა მსროლელები — 16 მედალი (ოქროს 9, ვერცხლის — 5, ბრინჯაოს — 2).

სსრ კავშირის პირველობა ხელბურთში

„ბურევესტნიკი" IV ადგილისთვის იბრძვის

გლაზოვი, 23 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ხელბურთელ ვაჟთა გუნდების IX საკავშირო ჩემპიონატის ბოლო წრის. IV-V ტურების შეხვედრებიდან თბილისის „ბურევესტნიკმა" ერთი მატჩი წააგო (ცსკა-სთან — 18:21), ხოლო მეორე მოიგო (ზმეტისთან — 13:12). სწორედ ზმეტისთან მოგებამ დააწინაურა თბილისელები გათამაშების ცხრილში. ახლა ისინი IV ადგილზე არიან. თბილისის „ბურევესტნიკსა" და ზმეტის 2-2 შეხვედრა დარჩათ გასამართავი. ამ მატჩებზეა დამოკიდებული, ვინ დარჩება IV ადგილზე და ვინ დაიკავებს გათამაშების ცხრილში შემდეგ საფეხურს. პრიზიორების ვინაობა უკვე ცნობილია. ესენი არიან მოსკოვის გუნდები — საავიაციო ინსტიტუტი, „კუნცევო" და კრასნოდარის „უნივერსიტეტი".

IV და V ტურების დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: საავიაციო ინსტიტუტი — „სტრაუმე" (რიგა) 27:21, „კუნცევო" — „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) 20:15, „უნივერსიტეტი" — ზმეტი 22:21, „ალუმინსტროი" — „სტრაუმე" 22:14, „კუნცევო" — ცსკა 25:15, საავიაციო ინსტიტუტი — „უნივერსიტეტი" 15:15.

24-25 ოქტომბერს გაიმართება ჩემპიონატის დასკვნითი შეხვედრები.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი)	26	19	4	3	578—500	42
„კუნცევო" (მოსკოვი)	26	17	4	5	480—412	38
„უნივერსიტეტი" (კრასნოდარი)	26	15	5	6	506—487	35
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	26	9	6	11	476—490	24
ზმეტი	26	10	2	14	435—425	22
„ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე)	26	8	4	14	422—435	20
ცსკა	26	5	5	16	460—521	15
„სტრაუმე" (რიგა)	26	5	2	19	461—538	12

ასეთია ცხენბურთი. ფ. ზარგარიანის ფოტოეტიუდი.

ჩვენ მამა რესპუბლიკაში

ავადმყოფობა მარცხდება

წივოლაპეკის მეტალურგიული ქარხნის სპორტის სასახლე ყოველდღე ღილის 7 საათიდან ღამის 11 საათამდე მუშაობს. აქ ფიზკულტურისა და სპორტის რამდენიმე ათასი ენთუზიასტი ვარჯიშობს.

რამდენიმე ხნის წინ შეიქმნა სამი დიდი „ჯანმრთელობის ჯგუფი". ამ ჯგუფების წევრები დიდ დროს უთმობენ რბენას. მარშრუტები გადის ტყეში, რომელიც იქვე, სპორტის სასახლესთან იწყება.

— რბენა საუკეთესო გავლენას ახდენს ჩემს ჯანმრთელობაზე, — ამბობს 40 წლის ინჟინერი ნ. მამონტოვი. ერთი წლის წინ მან ენცეფალიტი გადაიტანა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ძლივს მოძრაობდა. ექიმების რჩევით, მამონტოვმა რბენაში დაიწყო ვარჯიში. თავდაპირველად დისტანცია სულ რამდენიმე მეტრს უდრიდა. თანდათან ტრასა გაიზარდა. ახლა მისთვის ათი კილომეტრიც არაფერია. რბენამ და ტყის ჰაერმა გაამაგრა გული, მოაწესრიგა სისხლის წნევა, გაუმჯობესა ფილტვების მუშაობა. ინჟინერი კვლავ დაუბრუნდა თავის სამუშაოს.

რბენის ასეთივე თავგამოდებული ქომაგები არიან 60 წლის ზეინკლები ნ. ლავროვი და მ. შემეტუნი. ისინი პენსიას იღებენ, მაგრამ საწარმოს არ ტოვებენ. ორივე სამაგალითოა შრომაშიც და სპორტშიც.

ენთუზიასტებს სურთ მორბენალთა კლუბი შექმნან. მათი სურვილი ისიც არის, რომ სპორტულმა და სამედიცინო გამომცემლობებმა რაც შეიძლება მეტი მეთოდური ლიტერატურა გამოუშვან რბენის მოყვარულებისთვის.

მ. გოლაჩოვი.

ლიპეცკი.

გვეწვიეთ მორგენალთა კლუბში!

— ჩვენი კლუბი, რომლის სხდომებიც რეგულარულად ეწყობა ჟურნალ „ლიოგკაია ატლეტიკას" ფურცლებზე, 1970 წლის მარტიდან არსებობს, — უამბო საკვლევის კორესპონდენტს ვ. როდიჩენკომ. ამ ხნის მანძილზე უკვე დაიბეჭდა გამოჩენილი სპეციალისტების, პროფესორების, გამოცდილი მწვრთნელების ათობით საგულისხმო წერილი და რეკომენდაცია.

კლუბის სარედაქციო-მეთოდურ საბჭოში შედიან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები ს. ლეტუნოვი, რ. მოტილიანსკაია, კ. ნიკიტინი, სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. ოტკალენკო, ბ. ბოლოტნიკოვი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ოსიპოვი. ჩვენი ჟურნალის ყველა ნომერში იბეჭდება რჩევა-დარიგებები დამწყები სპორტსმენებისათვის, ვარჯიშის კომპლექსები სხვადასხვა ასაკის ხალხისთვის.

კლუბი უამრავ წერილს ღებულობს. ჩვენ ყურადღებით ვკითხულობთ შეკითხვებს და ვცდილობთ გამოქვეყნებულ მასალებში მათ დაწვრილებით გავცეთ პასუხი.

ჩაეწერეთ ჩვენს კლუბში, ამისთვის საჭიროა ორი რამ: სირბილი და „ლიოგკაია ატლეტიკას" გამოწერა, — თქვა დასასრულს ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა.

საკვლევი ცოდვითგანკვეთა

ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი — ბიბლიოთეკა

სპარტაკიადებისთვის მზადება

1969 წლის ოქტომბერში საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ალმა-ათაში ძნელი გამარჯვება მოიპოვეს გუნდურ შეჯიბრებაში, რაც უკრაინისა და რსფსრ-ს ძლიერი კოლექტივები ჩამოიტოვეს უკან. ეს იყო მერვე გუნდური გამარჯვება. ამ სახეობის მოყვარულებისთვის გაუგებარი დარჩა, როგორ მოხდა, რომ წლეულს პარილში, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საკავშირო პირველობაში საქართველოს მხოლოდ ორმა წარმომადგენელმა დაიკავა მეორე საპრიზო ადგილები: ესენი იყვნენ გ. ყვარელაშვილი და ა. ცხოვრებოვი. განა შეიძლებოდა უქნს თვეში მდგომარეობა ასე შეცვლილიყო?

თავისუფალი ჭიდაობა თანდათან უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს საბჭოთა კავშირში. მაგალითად, იაკუტი მოჭიდავეები, რომლებიც ჯერ კიდევ ათი წლის წინ ის-ის იყო გამოჩნდნენ სპორტულ სარბიელზე, დღეს უდავო ფავორიტები არიან ორ პირველ წონით კატეგორიაში. ისიც შეიძლება ითქვას, რომ თავისუფალი ჭიდაობა სპორტის ეროვნულ სახეობად იქცა დაღესტანში. აქაური სპორტსმენები წარმატებით გამოდიან დიდ საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში. მათ, ჩრდილოეთ ოსეთის მოჭიდავეებთან ერთად, ღირსეული ადგილი უკავიათ რუსეთისა და ნაწილობრივ მოსკოვის გუნდებში.

საკმარისია დავასახელოთ რუსეთის გუნდის წევრები — ი. შაბმურადოვი, კ. შომახოვი, რ. პლიევი, ა. ალასვერდიევი, ნ. ნასრულაევი, ა. თემირაევი, რ. აშურალიევი, გ. მუსაევი, ბ. ბორუკაევი, ს. ანდიევი, ა. ნასრულაევი, რომ ცნობილი გახდეს ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის წარმომადგენელთა ხვედრითი წონა რუსეთის გუნდში, ამას გარდა, რუსეთის გუნდის შემადგენლობაში შედიან ციმბირელები — ჭუმძიმე წონაში — ი. იარიგინი, მძიმე წონაში — გ. პარშუკოვი. თავისუფალმა ჭიდაობამ მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწია ყაზახეთშიც. ეს ყოველივე მოწმობს, რომ სპორტის ამ სახეობაში მოწინავე პოზიციების შენარჩუნება სულ უფრო რთულდება. აქნებ ესაა მიზეზი ჩვენი ზემოხსენებული უეცარი წარუმატებლობისა?

მარცხის შემდეგ მუდამ ძნელია ლაპარაკი, რადგან ამ დროს ყოველი სიტყვა ეჭვის ქვეშ დგება, გეჩვენება, რომ ყველა საბუთი მხოლოდ თავის გასამართლებლადაა მოყვანილი. მაგრამ ახლა, ლენინგრადში მოპოვებული წარმატების შემდეგ დავუჯერებენ: ცხოვრებაში, სპორტულ ცხოვრებაშიც, ხშირად ხდება უიღბლო დამთხვევები, რომელთაც ცალ-ცალკე არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ შედეგზე.

სსრ კავშირის პირადი პირველობისთვის მოჭიდავეებს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები ამზადებდნენ: ესე იგი, სპორტსმენები მოსწყდნენ თავიანთ მწვრთნელებს, ჩვეულ გარემოს. ისინი ვარჯიშობდნენ საზოგადოებათა ნაკრები გუნდების შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში. შეუჩვეველი საჭმელი და წყალი, უცხო კლიმატი, უცხო მწვრთნელები — ეს ყოველივე უარყოფითად მოქმედებს სპორტსმენთა მომზადებაზე. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია. როცა მახარჯალაში ჩავედით, გავიგეთ, რომ ლ. თედიაშვილი მთელი კვირის მანძილზე ავადმყოფობდა — გრიპი ჰქონდა, და ის-ის იყო უკეთესობა დაეტყო. უფროს მწვრთნელს შ. თიკანაძეს დიდი ბრძოლა დასჭირდა სსრ კავშირის გუნდის ყოფილ უფროს მწვრთნელთან ა. დიაკონთან, რათა ლევანი სარბიელზე არ გამოეყვანათ. ნაავადმყოფარი იყო ტ. ალიბეგაშვილიც. შ. ლომიძე „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში დაშავდა და ექიმების ნებართვის გარეშე სარბიელზე გამოსვლა აუკრძალეს. ნ. ხოხაშვილი და ზ. გობეჯიშვილი საპატიო მიზეზით ვერც კი წავიდნენ შეჯიბრებაზე. შ. ბერიაშვილი შეჯიბრების მსვლელობის დროს დაშავდა. ყოველივე ამის გამო პირადი პირველობის შედეგები მეტისმეტად მოგრძალებული აღმოჩნდა.

და აი, დაიწყო ახალი შეჯიბრება — სსრ კავშირის თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც სსრ კავშირში ამ სახეობის დანერგვის 25 წლისთავს მიეძღვნა. 1945 წლის ოქტომბერში ქალაქ ლენინგრადში სსრ კავშირის პირველი ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ ა. კარაპეტიანი, ვ. ილურიძე, ა. იალტირიანი, ვ. რიბალკო, ფ. ციმაკურიძე და სისტემატური საწვრთნელი მუშაობა.

58 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს გუნდის ლიდერია სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ნ. ხოხაშვილი — თავისებური ტექნიკის, შესანიშნავი ტაქტიკისა და დიდი გამოცდილების მქონე მოჭიდავე. მას ძალიან ძლიერი მეტოქეები ჰყავს ნ. ნასრულაევისა და ვ. კაზახოვის სახით, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორივე ეს მოჭიდავე ბევრჯერ დაუმარცხებია. სალიჩაზე ხოხაშვილი ძალიან დაკვირვებულია. სიბერია ოღონდ, რომ ქართველი სპორტსმენი ტრავმისაგან სამოლოდ განიურნოს.

74 კგ წონის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში საქართველოს ღირსებას დაიცავს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ზ. ბერიაშვილი. იგი ერთფეროვან ტაქტიკას იცავს, რასაც მუდამ გამარჯვება მოაქვს. ყველამ იცის, რას შეიძლება ბერიაშვილისგან ელოდე, მაგრამ ვერავინ გამონახა ხერხი აუცილებელი დამარცხებისგან თავის დასაცავად.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ წონაში ბერიაშვილს გაუჩნდა უთუოდ ღირსეული შემცვლელი—რ. მარსაგიშვილი. იგი ხალიჩაზე სრულუფლებიან ბატონ-პატრონად თვლის თავს და შეცდომების პატიება არ იცის.

82 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს ტრადიციულად გამოჩენილი მოჭიდავეები ჰყავდა. დავით ციმაკურიძე გოგი სხირტლაძემ შეცვალა. შემდეგ მოვიდა გურამ გობეჯიშვილი, მერე — შეუდარებელი ათლეტი გურამ სადარაძე, დღეს კი ახალი ძლიერი ათლეტი გვყავს — ლ. თედიაშვილი. ლევანი ძალიან ნიჭიერი სპორტსმენია და გულმოდგინედ შრომობს.

90 კგ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონისა და საერთაშორისო შეჯიბრებების მრავალჯერადი გამარჯვებულის ა. ცხოვრებოვის ადგილზე ერთბაშად სამი გოლიათი მოდის. ჯერჯერობით ყველაზე უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს თასზე ასპარეზობაში გამარჯვებული შ. პაპაშვილი. ეს ძლიერი, ნებისყოფიანი სპორტსმენია, რომელსაც უკვე კარგი გამოცდილებაც აქვს. შემდეგ მოდის ზ. გობეჯიშვილი — ფიზიკურად კიდევ უფრო ძლიერი, მაგრამ შედარებით ნაკლებად გამოცდილი მოჭიდავე. მუსამეა მ. ცნობილაძე, რომელიც, დიდი ფიზიკური ძალის მიუხედავად, ოდნავ ჩამორჩება დასახელებულ სპორტსმენებს.

100 კგ წონით კატეგორიაში დღეს ყველას სჯობს ს. გოგნაძე. ამ ბოლო დროს იგი ყოველ შეჯიბრებაში უფრო და უფრო მაღალ ოსტატობას ავლენს. მაგრამ გოგნაძეს ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდება, განსაკუთრებით, ძალისმიერი თვისებების განვითარებისთვის. ამ წონაში გვყავს ცოტა რამდენიმე მოჭიდავე, რომელთაც დროთა განმავლობაში კიდევ შეუძლიათ დაწინაურდნენ.

მძიმე წონაში ჯერჯერობით სულ ვერ ვხედავთ ახალგაზრდა მოჭიდავეს. ნ. ხიდეშელიძე, მაგრამ მას აშკარად აკლია ძალისმიერი თვისებები და ტაქტიკური სიმწიფე.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ მსოფლიო ჩემპიონი შ. ლომიძე. ამ ვეტერანს ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი საბოლოო სიტყვა. საქმე ისაა, 100 კგ წონით კატეგორიაში დაიცავს იგი ჩვენი გუნდის ღირსებას, თუ მძიმე წონაში. თუმცა, სულ ერთია, ლომიძე ორივე შემთხვევაში საიმედოა. ბოლო წლებში საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა კაპიტანი სხვადასხვა მიზეზით იშვიათად გამოდის ხალიჩაზე, მაგრამ მის ერთ გამოჩენასაც პანიკა შეაქვს ჩვენი მეტოქეების რიგებში.

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეები, რომელთაც სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები შ. თიკანაძე, ი. ჩხარტიშვილი, გ. როსტიაშვილი, ვ. ილურიძე და შ. ნოზაძე ხელმძღვანელობენ, კვლავ ადმავლობის გზაზე დგანან.

ი. ალიხანოვი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

წარმატება!

ვ. მაჩკალიანი და ა. მეკოკიშვილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეჯიბრების დებულება, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურად იყო შედგენილი. გუნდებს, რომლებმაც სსრ კავშირის ბოლო ჩემპიონატში პირველი რვა ადგილი დაიკავეს, შეეძლოთ გამოეყვანათ ათი კაცი იმდენი მოჭიდავის დამატებით, რამდენმაც იმავე ბოლო პირველობაში სპრიზო ადგილები მოიპოვა. მეორე ჯგუფის გუნდებს შეეძლოთ გამოეყვანათ 5 კაცი იმდენივეს დამატებით. ჩათვლაში ყველა მონაწილის შედეგი შედიოდა. ჩათვლა ტარდებოდა არაოფიციალური ოლიმპიური სისტემით, ესე იგი, I ადგილისთვის — 7 ქულა, II ადგილისთვის — 5, III — 4 და ა. შ.

მოცემული დებულებით რუსეთის გუნდს შეეძლო გამოეყვანა 22 მოჭიდავე, უკრაინას, მოსკოვსა და აზერბაიჯანს — 14-14, საქართველოს, ლენინგრადს, ყაზახეთს, ბელორუსიას — 12-12. ამგვარად, პირველი ადგილი უბრძოლველად ეძლეოდა რუსეთის გუნდს. დავა II ადგილისთვის უნდა გაჩაღებულიყო.

მწვრთნელთა საბჭომ, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი უჭერდა მხარს, გადაწყვიტა ამ შეჯიბრებაში გამოეცადა ახალგაზრდა მოჭიდავეები, რომლებმაც უახლოეს მომავალში ვეტერანები უნდა შეცვალონ. მაგალითად, შ. ლომიძის ნაცვლად გუნდში შევიდა ნ. მოდებაძე, ზ. შეყრილაძის ნაცვლად — თ. მიქელაძე. ზ. ბერიაშვილთან ერთად სასპარეზოდ გაემგზავრა პერსპექტიული სპორტსმენი რ. მარსაგიშვილი. დიდ შეჯიბრებაში პირველად გამდიოდა ი. ასლანიდი. ა. ცხოვრებოვთან ერთად გუნდის ღირსების დასაცავად წავიდა შ. პაპაშვილი. ქვემძიმე წონაში უნდა შემოწმებულიყო ორი მოჭიდავის — ს. გოგნაძისა და რ. მოსეშვილის შესაძლებლობები. ორივე სპორტსმენი გუნდის შემადგენლობაში ჩაირიცხა. ნ. ხოხაშვილი ტრავმის გამო ვერ გამოვიდა სარბიელზე.

მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ აქაც ითამაშა თავისი როლი. შეჯიბრების დაწყების წინადღით ტრავმა მიიღო ტ. ალიბეგაშვილმა. გ. ყვარელაშვილი იაპონიიდან ახალი დაბრუნებული იყო და ფორმაში შესვლა ვერ მოასწრო. ამ ასპარეზობამ საბჭოთა კავშირის ჩემპიონ ი. იარიგინთან. გოგნაძეს მსოფლიო ჩემპიონ ვ. გულიუტკინთან უნდა ეასპარეზა. პირდაპირ უნდა ითქვას: მოსეშვილი მეტოქის ტატულს შეუშინდა, თორემ უსათუოდ გაიმარჯვებდა. გოგნაძეს კი არ გამოუმჟღავნებია შიში და დაბნეულობა. მან მთელი შეხვედრა შესანიშნავად ჩაატარა და მხოლოდ იმიტომ წააგო, რომ ჯერ კიდევ სუსტი და გამოუცდელი იყო მრისხანე მეტოქესთან შედარებით.

ჩვენმა ახალგაზრდა მძიმე წონის ათლეტმა ნ. მოდებაძემ თამამ (ზოგჯერ მეტისმეტად თამამ) მოჭიდავედ გაგვაცნო თავი. რაკი საბჭოთა კავშირის პირველობაში მოუგო აიხანოვს (ყაზახეთი), მოდებაძემ გადაწყვიტა, რომ ამჯერადაც იოლად დაამარცხებდა მას. მაგრამ გამოცდილმა სპორტსმენმა მოატყუა აზარტული მეტოქე. მოდებაძის ერთ-ერთი იერიშის დროს მან კონტრიულეთი გამოიყენა და გაიმარჯვა. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ასაკისა, ვეტერანმა განსაკუთრებით კარგად ჩაატარა ეს ტურნირი და გამარჯვებულის სახელი მოიპოვა.

ორიოდე სიტყვა მათზე, ვინც შედარებით წარუმატებლად გამოვიდა.

ტ. ალიბეგაშვილი ამჯერად საუკეთესო ფორმაში არ იყო. მან პირველი წრე მოიგო, მეორეში — საბჭოთა კავშირის შარშანდელ ჩემპიონს ი. კულემოვს შეხვდა და წააგო, რადგან თავისი სტილისთვის შესაფერი ტემპი ვერ შექმნა. აღიბეგაშვილმა მესამე წრეში დაამარცხა სახიფათო მეტოქე, რსფსრ-ს გუნდის წევრი ა. ნასრულაევი, შემდეგ კი ასევე ქულებით მოუგო მოლდაველ ორიოლს, მაგრამ ფინალისტთა რიცხვში მაინც ვერ მოხვდა და IV ადგილი დაიკავა.

მაშ ასე, თასის პირველი გათამაშება დამთავრდა. შედეგები ასეთია: რსფსრ — (18 მონაწილე) 2 პირველი და 3 მეორე ადგილი, ქულათა საერთო რიცხვი — 56, ქულათა საერთო რაოდენობა — 10, მოლდაველთი — 9, ბოლორუსია — 8, უზბეკეთი — 4, ლატვია — 3, ლიტვა—1, თურქმენეთი — 1. ლენინგრადის, სომხეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის გუნდებს ჩასათვლელი ქულები არ მიუღიათ.

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ? საბჭოთა კავშირის ხალხთა მორიგ სპარტაკიადამდე დიდი დრო აღარ დარჩა. როგორ გამოვა ჩვენი რესპუბლიკის გუნდი ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობაში?

48 კგ წონით კატეგორიაში დღესდღეობით არ გვყავს კაცი, რომელიც საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებში ღირსეულ ადგილს დაიკავებს. ამ წონაში საჭიროა ამტანი მოჭიდავე, რომელიც სათანადო წინააღმდეგობას გაუწევს იაკუტი სპორტსმენების თავბრუდამხვევ ტემპს. ჩვენი კანდიდატებიდან (სამი კაცი) ამ მოთხოვნას ჯერჯერობით ვერც ერთი ვერ პასუხობს. წინაა კიდევ სამი დიდი შეჯიბრება და რვა თვე. ახლა ყოველი დღე გონივრულად უნდა გამოვიყენოთ წვრთნისთვის (თუმცა ეს საერთო რჩევა თანაბრად ეხება ყველა კატეგორიას).

52 კგ წონით კატეგორიაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის მ. ცალკალამანიძისა და სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონის ზ. შეყრილაძის შემდეგ ჯერჯერობით არ გვყავს უმაღლესი კლასის მოჭიდავე. დღესდღეობით ყველას ისევ ვეტერანი შეყრილაძე სჯობს.

57 კგ წონით კატეგორიაში ჩვენი მოჭიდავეების ლიდერია სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ტ. ალიბეგაშვილი, რომლის სიძლიერესაც ტემპი და სისწრაფე განაპირობებს. ამ თვისებების წყალობით სპორტსმენმა უნდა მიაღწიოს, რომ ბოლო პერიოდისთვის თავის მეტოქეებზე კარგად იყოს მომზადებული (რადგან ამ კატეგორიაში ფიზიკურად ძლიერი და ტექნიკურად უფრო დახვეწილი მოჭიდავეები გამოდიან). ალიბეგაშვილი სპარტაკიადამდე ისე უნდა მივიდეს, რომ ტრავმამ და ავადმყოფობამ არ შეუშალოს ხელი, რა მიზეზითაც ამ ბოლო დროს სპორტსმენი ვერ ახერხებს ამტანობის უმაღლეს დონემდე აყვანას.

იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს ლიდერზე 62 კგ წონით კატეგორიაში, მაღალი ტემპის მოჭიდავე გ. ყვარელაშვილზე. აქაც მთავარ ამოცანად რჩება ამტანობის გამომუშავება, დაძაბული და სისტემატური საწვრთნელი მუშაობა.

ზ. ბერიაშვილი

ლ. თედიაშვილი


შ. პაპაშვილი

რ. მარსაგიშვილი



სსრ კავშირის პირველობა

ჭუქში...

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა კალენდარული მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ვოროშილოვგრადის „ზარიას“ დუბლიორ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

მატჩი მოიგო „დინამომ“ — 2:1.

უფერული თამაში

თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი. 21 ოქტომბერი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი)— „ვოლგარი“ (ასტრახანი) 0:0.

„ლოკომოტივი“: ბერიძე, ფირდმანი, ბანოვი, გოგიჯანაშვილი, ფილია, ძაგანია, ბახტაძე, ყიფიანი, შხვაცაბაია, ხუციშვილი (ჯორბენაძე), ჭელიძე.

„ვოლგარი“: ჭაკოვი, კარპურა, დერიაკოვი, საბლინი, ვასილიევი, კონდრაშოვი (ევპალოვი), ანდრიანოვი, ნოვიკოვი (ტატაინოვი), კაპკოვი (სტახანოვი), გვასალია, გადელია.

მსაჯი თ. ველიევი (ბაქო).

თბილისის „ლოკომოტივმა“ წინა შეხვედრა ხარკოვის „მეტალისტის“ ძლიერ გუნდთან საუკეთესოდ ჩაატარა, მაგრამ ასტრახანის გაცილებით უფრო სუსტ კოლექტივთან იგი არასახარბიელოდ გამოიყურებოდა. თამაშის დასაწყისიდანვე ორივე გუნდის მოთამაშეებმა მინდვრის შუაგულში მოიყარეს თავი და უმთავრესად იქ მოქმედებდნენ. იშვიათად, რომ რომელიმე ფორვარდს შეექმნა რაიმე გამწყვანება და მიეცათ მოპირდაპირე კარისთვის და ამ გამონაკლის შემთხვევებშიც მათი გადამწყვეტი დარტყმები უზუსტოდ მთავრდებოდა.

თბილისელებმა ერთგვარ ტერიტორიულ უპირატესობას მიაღწიეს მეორე ტაიმში, მაგრამ თამაშის ხელოვნო სურათი იგივე იყო, რაც პირველ ნახევარში. იყო მომენტები, როცა ბახტაძეს და ჭელიძეს შეექმნათ კარის აღებას შესაძლებლობა, მაგრამ პირველ შემთხვევაში თავი გამოიჩინა მეკარე მაკოვმა, ხოლო მეორეჯერ ჭელიძემ ვერ ითამაშა ზუსტად.

ანგარიში 0:0 სავსებით შეესაბამება ამ უფერული მატჩის მსვლელობას.

რ. ჟორჟიკ.

I ჯგუფი

ჩვენი ფეხბურთი

„ა“ კლასის I ჯგუფში 21 ოქტომბერს გაიმართა სხვა შეხვედრებიც. ეს მათი შედეგები: „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:0, ასკ (კიევი) — „მოლდოვა“ (კიშინიოვი) 2:1, „ვალგირისი“ (ვილნიუსი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 3:1, „დაუგავა“ (რიგა) — „კარპატი“ (ლვოვი) 0:1, ასკ (მინსკი) — „ძალა“ (როსტოვი) 2:3, „დინამო“ (ტბილისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:0, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 1:0, „ალგა“ (ფრუნზე) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 2:1, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „ტკვარჩელი“ (ოვანოვო) 4:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 3:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ალგა“ (ფრუნზე) 2:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„ჭაირატი“ (ალმა-ათა)	39	23	10	6	62—25	56
„კარპატი“ (ლვოვი)	38	22	11	5	61—22	55
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	39	23	9	7	48—24	55
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	39	15	18	6	42—22	48
„დინამო“ (ლენინგრადი)	39	19	8	12	56—41	46
„რუბინი“ (ყაზანი)	39	18	9	12	35—39	45
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	39	17	10	12	46—35	44
„პრ. სოვეტოვი“ (სუხუმი)	39	16	11	12	40—30	43
„შახტიორი“ (ყარაგანდა)	38	14	15	9	43—34	43
„ვალგირისი“ (ვილნიუსი)	39	14	11	14	44—36	39
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	39	13	12	14	38—32	38
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	39	13	11	15	36—46	37
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	39	14	8	17	34—36	36
„ყუბანი“ (კრასნოდარი)	39	11	14	14	27—36	36
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	39	11	13	15	32—49	35
„ვოლგარი“ (ასტრახანი)	38	11	10	17	32—44	32
ასკ (ბობრუისკი)	39	8	16	15	21—34	32
ასკ (კიევი)	39	10	9	20	37—49	29
„დაუგავა“ (რიგა)	39	9	11	19	32—48	29
„პამირი“ (დუშანბე)	39	10	9	20	37—59	29
„ალგა“ (ფრუნზე)	39	8	12	19	31—43	28
„სტროიტელი“ (აშხაბადი)	38	6	7	25	21—71	19

2 დამარცხება

21 ოქტომბერს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები „ა“ კლასის II ჯგუფის II ზონაში.

საქართველოს გუნდებმა — ბათუმის „დინამომ“ და გორის „დილამ“ მარცხი განიცადეს გასვლით შეხვედრებში. ბათუმელებმა წააგეს ტულის „მეტალურგთან“, ხოლო გორელებმა — ბრაიანსკის „დინამოსთან“. ორივე შემთხვევაში ანგარიში იყო 0:3.

სხვა თამაშები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „სტალი“ (ვოლგოგრადი) — „მაშუკი“ (პიატიგორსკი) 1:2, „დინამო“ (სტავროპოლი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 1:0, „ტორპედო“ (ტაგანროგი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 0:1, „ლოკომოტივი“ (კალუგა) — „მირაკი“ (ლენინაკანი) 2:1, „ვოლგა“ (კალინინი) — „სალუტი“ (ბელგოროდი) 2:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ტრუდი“ (ვორონეჟი) 0:0, „სატურნი“ (რიბინსკი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 2:1, „ვოლგა“ (გორკი) — „დინამო“ (კიროვაბადი) 1:0.

გათამაშების ცხრილი

II ზონა

მდგომარეობა 24 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„შინიკი“ (იაროსლავლი)	39	21	14	4	55—26	56
„ავტომობილისტი“ (ნალჩიკი)	38	19	15	4	47—14	53
„ვოლგა“ (კალინინი)	39	21	10	8	50—26	52
„მეტალურგი“ (ტულა)	39	20	11	8	77—34	51
„მაშუკი“ (პიატიგორსკი)	39	15	16	8	43—34	46
„დინამო“ (სტავროპოლი)	39	15	16	8	35—31	46
„ლოკომოტივი“ (კალუგა)	39	14	15	10	44—45	43
„ტორპედო“ (ტაგანროგი)	39	13	15	11	34—36	41
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	39	14	11	14	47—39	39
„მეტალურგი“ (ლიპეცკი)	39	15	9	15	46—47	39
„სატურნი“ (რიბინსკი)	39	11	16	12	38—46	38
„დრუჟბა“ (მაიკოპი)	37	12	12	13	30—32	36
„სალუტი“ (ბელგოროდი)	39	10	16	13	35—40	36
„ვოლგა“ (გორკი)	36	11	13	12	42—36	35
„დინამო“ (მაჩახკალა)	38	11	11	16	40—50	33
„დინამო“ (ბათუმი)	36	10	13	13	28—38	33
„დინამო“ (კიროვაბადი)	39	12	8	19	37—38	32
„შირაკი“ (ლენინაკანი)	37	11	10	16	37—41	32
„სტალი“ (ვოლგოგრადი)	39	8	16	15	33—39	32
„დილა“ (გორი)	37	10	10	17	35—53	30
„დინამო“ (ბრაიანსკი)	39	7	11	21	30—69	25
„ფოლადი“ (ხუმგაითი)	38	4	8	26	18—66	16

II ჯგუფი

სპარტაკიადა დამთავრდა

დამთავრდა ჭიათურის რაიონის შეხუთე საიუბილეო სპარტაკიადა, რომელიც საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს მიეძღვნა. პირველი შედეგების შესახებ ამას წინათ ვიტყობინებოდით, გამოვლინდნენ გამარჯვებულნი დანარჩენ სამ სახეობაშიც.

კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის უძლიერესი აღმოჩნდა ჭიათურის პირველი საშუალო სკოლის კოლექტივი. ვაჟებში, როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება მოიპოვეს „კოლმეურნის“ სპორტსმენებმა. ქალაქის სტადიონზე ახლადგახსნილ დარბაზში პაექრობა ჭქონდათ მოჭიდაგეებს, ჭართულ და თავისუფალ ჭიდაობაშიც სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ „კოლმეურნის“ გუნდები.

საერთო კომპლექსურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა და V საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს ნაკრები კოლექტივი, რომელსაც გადაეცა სპარტაკიადის გარდამავალი თასი და I ხარისხის დიპლომი. II ადგილზეა ჭიათურის ა. გაგარინის სახელობის მე-2 რუსული საშუალო სკოლის, III — ა. წერეთლის სახელობის პირველი საშუალო სკოლის კოლექტივი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სპარტაკიადის მონაწილეთა შორის შეიმჩნეოდა ქალთა გუნდების ნაკლებობა, განსაკუთრებით კი სოფლის სკოლების ნაკრებ კოლექტივებში. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა სოფლად სპორტში ქალთა ჩაბმის საქმეს.

სუსტი მაჩვენებლებით გამოვიდნენ სპარტაკიადაში კვირიკეს კოლმეურნეობის, ჩაისუბნის საშუალო სკოლისა და სხვა კოლექტივები.

ახლა დასასრულს უახლოვდება რაიონის ნაკრები კოლექტივების დაკომპლექტება. აჭარის V საიუბილეო სპარტაკიადაში ჭიათურელი სპორტსმენები სპორტის 11 სახეობაში მიიღებენ მონაწილეობას.

ლ. ტრაპაიძე.

ბიუროს მოიწონა

საქართველოს კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ შეჯამა თავდაცვით-მასობრივი მუშაობის საკავშირო დათვალიერებისა და სამხედრო-ტექნიკურ მომზადებაში კომკავშირულებისა და ახალგაზრდობის გამოცდის შედეგები აჭარის კომკავშირულ ორგანიზაციებში.

35 ათასზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა ამ ღონისძიებაში. ათასობით ჭაბუკმა და ქალიშვილმა მთლიანად ჩააბარა გამოცდა ფიზიკურ მომზადებაში, 3300 ახალგაზრდას მიენიჭა სპორტული თანრიგი, 3500 დაეუფლა სამხედრო-ტექნიკურ სპეციალობას. დათვალიერების მსვლელობისას მომზადდა 1200 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, აიგო და კეთილმოეწყო 200-ზე მეტი მარტივი ტიპის სპორტული ნაგებობა.

საკავშირო დათვალიერება-გამოცდაში აჭარის კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობა რომ შეაფასა, კომკავშირის საოლქო კომიტეტის ბიურომ მოიწონა ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობა. აღინიშნა, აგრეთვე, დათვალიერება-გამოცდის II და III ეტაპების ორგანიზებული ჩატარება ბათუმის გემთსაშენ, ნავთობგადამამუშავებელ, ელექტრომექანიკურ ქარხნებში, ქარხანა „ელექტრონულსაწყობში“, № 3, 5, 7, 22, 24 სკოლებში და სხვაგან.

ბოლო ეტაპებზე გამოვლინდა ჭობულეთის რაიონის სოფლების — ხუცუბნის, დაგვის, ალამპრის, ბათუმის რაიონის წინსვლის, თხილნარის, კირნაკის, ქედის რაიონის მერისის, შუახევის რაიონის ოლადაურის, დღვანის, ხულოს რაიონის ოქტომბრის, ხიხაძირის ახალგაზრდობის კარგი მომზადება და მათი აქტიურობა სპორტული მოედნების მშენებლობაში.

ქალიშვილებისა და ჭაბუკების განსაკუთრებული აქტივობით ჩაიარა დათვალიერება-გამოცდამ ჭობულეთის რაიონში. აქ დაახლოებით 50 კოლმეურნეობასა, საბჭოთა მეურნეობასა და საწარმო-დაწესებულებაში მოეწყო ბაზები. 4 ათასზე მეტმა ჭობულეთელმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა რაიონულ სპარტაკიადაში, მათგან ხუთასს მიენიჭა სპორტული თანრიგი.

დათვალიერებამ ხელი შეუწყო ჭაბუკებსა და ქალიშვილებში სპორტის სახმედრო-ტექნიკური და თავდაცვით-მასობრივი სახეების პოპულარიზაციას.

ვ. გოგია,
საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი.

ქართული ჭიდაობა უზურნდ?!

ცხინვალის რაიონის V სპარტაკიადა საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა. პროგრამაში იყო ფრენბურთი, მძლეოსნობა და ქართული ჭიდაობა. მონაწილეობდნენ საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზკულტურულმა კოლექტივმა.

ქართულ ჭიდაობაში ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლაში ჩაება 47 ფალავანი. წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულნი გამოვიდნენ: ვ. მეტრეველი (ტექნიკუმი), რ. ჯუსოევი (თამარაშენი), ა. თაბოშვილი (ერედვი), ვ. ბეინაშვილი, ნ. ზილიგაევი (ორივე — ტექნიკუმი), ა. გაგლოევი (თამარაშენი), გ. შავარდენიძე (ქსუისი) და უ. ჯიჭოევი (თამარაშენი).

გუნდური პირველობა მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოჭიდავეებმა. კურიოზია, მაგრამ ფაქტია, ჭიდაობა ჩატარდა დამკვრელების გარეშე — არ იყო ზურნა-დოლი, რამაც, ცხადია, ამ ვაჟკაცურ, მიმზიდველ ახპარეზობას ლაზათი დაუკარგა.

ფრენბურთელ ქალთა ტურნირში წარმატება მოიპოვა კეცხვის გუნდმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა ტექნიკუმელები — 2:0. მესამე ადგილისთვის ჩრდილოეთში ერთმანეთს შეხვდნენ ქსუისისა და ხეთაგუროვის კოლექტივები. მატჩი მოიგეს (2:1) ქსუისელმა ფრენბურთელებმა.

ვაჟებში საუკეთესო იყო ტექნიკუმის გუნდი, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში სძლია ერედვის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს — 2:0.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ რაიონში ფრენბურთის სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. გარდა იმისა, რომ გუნდები სუსტად თამაშობდნენ, ზოგიერთ მათგანს (ერედვი, ძარწემი, ხეთაგუროვი) სპორტული ფორმა არ ჰქონდა.

მძლეოსნობაში გაიმარჯვეს ტექნიკუმის წარმომადგენლებმა. შედეგები არასახარბიელოა.

სპარტაკიადის დღეებში რატომღაც არ იყო გამოკრული აფიშები. არ მოხდა სპორტული ადგილებზე გამოსული კოლექტივებისა და სპორტსმენთა საზეიმო დაჯილდოება. ისიც იწვევს გაოცებას, რომ სპარტაკიადის პროგრამაში მხოლოდ სამი სახეობა იყო.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

სროლით გაიხსნა

ქუთაისში სამ დღეს გაგრძელდა ტყვიის მსროლელთა შეჯიბრება მე-14 საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „დინამოს“, „განთიადის“ „სპარტაკის“, „შრომითი რეზერვების“, პედაგოგიური ინსტიტუტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის სპორტსმენები.

გუნდური I ადგილი დინამოელებმა დაიკავეს, II და III ადგილებზე გავიდნენ პოლიტექნიკური და პედაგოგიური ინსტიტუტების გუნდები.

ყველაზე კარგი შედეგები მოიპოვეს პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდის წევრმა მ. მიქიაშვილმა, დინამოელმა გ. გალოგრემ, მომავალმა ინჟინრებმა თ. კვანტალიანმა და თ. სვანიძემ.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

ნაკრების ახალი შემადგენლობა

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ თავის პირველ ოფიციალურ მატჩს ჩაატარებს 28 ოქტომბერს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ევროპის ვიცე-ჩემპიონთან — იუგოსლავიის ნაკრებთან.

ჩვენი გუნდის შემადგენლობაში შეეყვანილია 18 ფეხბურთელი, რომელთაგან მხოლოდ 8 გამოდიოდა მსოფლიო ჩემპიონატში. ესენია: ცსკა-ს მოთამაშეები ა. შესტერნიოვი, ვ. აფონინი და ვ. კაპლიჩნი, თბილისის დინამოელები რ. ძოძუაშვილი, ა. ასათიანი, გ. ნოდია, ვ. მუნტიანი (კიევის „დინამო“) და გ. ევრიუჟიხინი (მოსკოვის „დინამო“).

სხვა კავშირის ნაკრების კარს დაიცავენ: ვ. ბანიკოვი („ტორპედო“, მოსკოვი) და ი. პუჭინჩიკოვი (ცსკა). მოსკოვის არმიელთა გუნდიდან ნაკრებში შეეყვანილი არიან ი. იცტომინი, ვ. კლახეკა, ნ. დოლგოვი, ბ. კოპეიკინი, ვ. ფედოტოვი, ვ. დუდარენკო, ბაქოს „ნეფჩიდან“— ვ. შევჩენკო და ყაზანის „რუბინიდან“ — ვ. კოლოტოვი. გუნდის მწვრთნელობას ხელმძღვანელობენ ვ. ნიკოლაევი და ა. პარამონოვი.

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდების შეხვედრას იმსაჯებს პოლონელ არბიტრთა ბრიგადა მ. სრომდეცკის მეთაურობით.

ვ. მარღანიას სახელობის

თბილისის „დინამოს“ გამოჩენილი მეკარის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას სახელობის თასზე ყოველ წელს ასპარეზობენ ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი ფეხბურთელები.

ეს ტრადიციული შეჯიბრება ეწყობა წლეულსაც. დღეს თბილისის „დინამოსა“ და ვოროშილოვგრადის „ზარიას“ მატჩის წინ „ლოკომოტივის“ სტადიონზე მოეწყობა ვ. მარღანიას სახელობის თასის საქალაქო გათამაშების საზეიმო გახსნა, რის შემდეგ ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის განათლების განყოფილების სპორტკოლიტივი და თბილისის „ლოკომოტივის“ ნორჩი ფეხბურთელები. დასაწყისი 14 საათსა და 45 წუთზე.

ბიბლიოთეკა



პერმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტ აფროსანთა კლუბი დაახლოებით 100 კაცს აერთიანებს.

წლეულს ინსტიტუტის აფროსნებმა მოიგეს საკავშირო ასპარეზობა უმაღლესი სასწავლებლების გუნდებს შორის. საკრეისერო ნავის „ფოლკსბოტის“ ეკიპაჟმა, რომელიც ამ კლუბის წევრებისგან შედგებოდა, უველას აჯობა მრავალდღიან რბოლაში მარშრუტით: ულიანოვსკი—უჟანი — ულიანოვსკი. პირად პირველობაში „ბ“ კლასის ნავებით ეკიპაჟმა ე. ლეონევის, ვ. კარასიოვისა და ვ. ჩერნიშის შემადგენლობით მოიგო მოსკოვის ტრადიციული საშემოდგომო რეგატა.

სურათზე: პერმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის აფროსნები კამის ზღვაზე წვრთნის დროს.

ე. კოტლიაკოვის ფოტო (აპს-ი).

• KORANA • ФУТБОЛ • ФЕХБУРТИ • ЛАВ ТЕННИСИ •

მერვედფინალები

21 ოქტომბერს შედგა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალური შეხვედრები.

ჩემპიონთა თასის მატჩები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „უოტერფორდი“ (ირლანდია) — „სელტიკი“ (შოტლანდია) 0:7, „სტანდარდი“ (ბელგია) — „ლეგია“ (პოლონეთი) — 1:0, „კალიარი“ (იტალია) — „ატლეტიკო“ (ესპანეთი) 2:1, „ბორუსია“ (გფრ) — „ევერტონი“ (ინგლისი) 1:1, „აიაქსი“ (ჰოლანდია) — „ბაზელი“ (შვეიცარია) 3:0, „ცრვენა ზნამია“ (იუგოსლავია) — უტა (რუმინეთი) 3:0, „კარლ ცეისი“ (გდრ) — „სპორტინგი“ (პორტუგალია) 2:1.

თასების მფლობელთა თასის მატჩების შედეგებია: „გიოზთეფე“ (თურქეთი) — „გურნიკი“ (პოლონეთი) 0:1, „რეალი“ (ესპანეთი) — „გაკერი“ (ავსტრია) 0:1, „ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ფორვერტსი“ (გდრ) 2:0, „ჰონვედი“ (უნგრეთი) — „მანჩესტერ-სიტი“ (ინგლისი) 0:1, „ბრიუგე“ (ბელგია) — „ციურიხი“ (შვეიცარია) 2:0, „არდფ-სიტი“ (უელსი) — „ნანტი“ (საფრანგეთი) 5:1, „ვინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „სტიაუა“ (რუმინეთი) 4:0, ცსკა (ბულგარეთი) — „ჩელსი“ (ინგლისი) 0:1.

მერვედფინალის განმეორებითი მატჩები შედგება 4 ნოემბერს.

მეტად ძლიერი შემადგენლობა

„ბაზრობათა თასის“ 1970-71 წლების გათამაშებაში მეტად ძლიერი გუნდები მონაწილეობენ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს შეჯიბრება არაფრით ჩამოუვარდება ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებს.

როგორია ამ ასპარეზობის მონაწილე გუნდების მდგომარეობა დღეისათვის? გრძოლას აგრძელებენ „ლივერპული“ (მან დაამარცხა „ფერენცვაროში“ — 1:1, 1:0), ზაგრების „დინამო“ (6:1, 0:2 — პორტუგალიის „ბერა-ნენსესთან“), „იუვენტუსი“ (7:0,4:0 — ლუქსემბურგის „რიუმელანჯთან“), „ბაიერნი“ (1:0, 1:1 — „გლაზგო რეინჯერსთან“), „კიოლნი“ (5:1, 0:1 — საფრანგეთის „სედანთან“), როტერდამის „სპარტა“ (6:0, 9:0 — ისლანდიის „აკრანესთან“), დრეზდენის „დინამო“ (0:0, 6:0 — ბელგრადის „პარტიზანთან“), „ნიუკასლი“ (1:1, 2:0 — მალანის „ინტერნაციონალესთან“), დანიის „ფრემი“ (7:0, 3:2 — მალტის „სლიემა უონდერერსთან“), „ლიდს იუნაიტედი“ (1:0,5:0 — წორვეგიის „სკარპსბორგთან“), „ვალენსია“ (3:0, 3:1 — ირლანდიის „კორკთან“), ბელგიის „ბევერენი“ (2:0, 3:0—ავსტრიის „ვინერ შპორტკლუბთან“), დასავლეთ ბერლინის „ჰერტა“ (4:2, 4:1 — დანიის „იკობინგთან“), შოტლანდიის „ჰიბერნიენი“ (6:0, 3:2 — შვეიცის „ლოზანესთან“), ავსტრიის „შტურმი“ (2:4, 3:0 — ფინეთის „ილვესთან“), პორტუგალიის „გიმარაეში“ (3:0, 1:3 —საფრანგეთის „ანგულემთან“), „პეშტი-დოჯა“ (1:2, 3:0 — რუმინეთის „უნივერსიტატია კრაიოვასთან“), პორტუგალიის „სეტუბალი“(2:0, 2:1 — შვეიცარიის „ლოზან სპორტთან“), ჩრდ. ირლანდიის „კოლრეინი“ (1:1, 3:2 — შოტლანდიის „კილმარნოკთან“) და სპლიტის „ჰაიდუკი“ (3:0, 0:1 — ბულგარეთის „სლავიასთან“).

•

ინგლისელთა მარცხი

ინგლისის კლუბები ძალზე მარცხიანად გამოდიან ბრიტანეთის თასზე, სადაც მათ გარდა მონაწილეობენ შოტლანდიის, ჩრდ. ირლანდიისა და უელსის გუნდებიც. მეოთხედფინალამდე მხოლოდ ორმა ინგლისურმა კლუბმა — „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ (ლონდონი) და „უოლვერჰემპტონ უონდერერსმა“ მიაღწია.

მეოთხედფინალში ერთმანეთს ხვდებიან: „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „მოთერველი“, „შორტონი“ — „უოლვერჰემპტონ უონდერერსი“, „ეირდიენიანსი“—„პარსტი“, „დერბი სიტი“ — „შამროკ როვერსი“.

მეოთხედფინალური მატჩები უნდა გათამაშდეს 2 ნოემბრამდე.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

სპორტის სასახლე
დღეს

სპორტული კინოფილმების ფესტივალი. ნაჩვენები იქნება: „ეს რეგბია“, „გზა ერთი გოლისკენ“, „როცა ატრიბი მღერიან“, „საფრანგეთის საშოთმოთბილამურეები“, „კლდის ქვეფენი“ (ჰიტელ ხერგიანი) და სხვ.

დასაწყისი 14 სთ.

ფსიქოლოგის სპორტულ ბუნებაზე

ბრიფი. სპორტის სასახლეში. 27-29 ოქტომბერი. საქართველოს პირადი პირველობა. დასაწყისი 19 სთ.

ტყვიის სროლა. ავჭალის სასროლეთი. 27 ოქტომბერი-1 ნოემბერი. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი. დასაწყისი 10 სთ.

ახალი ამბების სააგენტო

ორი სტილის თანაარსებობა

„სიმაღლეზე ხტომის ახალი სტილი სპორტული მოჭიდაობის სრულყოფის ნაყოფია“, — ამბობენ სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, მელბურნის ოლიმპიადის პრიზიორი ი. კაშკაროვი.

სიმაღლეზე ხტომის ორიგინალურმა ხერხმა, რომლის მეშვეობითაც დ. ფოსბიურიმ მუხაკის ოლიმპიური თამაშები მოიგო, გაცხოველებული კამათი გამოიწვია სპეციალისტებს შორის. მართლა ასე რაციონალურია „ფლოპი“ (ასე უწოდეს ხტომის ახალ სტილს) თუ მხოლოდ თვით გამომგონებლისთვისაა ხელსაყრელი? იქნებ სწორედ „ფლოპით“ მოსპარეზე სპორტსმენმა შეძლოს მოხსნა ვ. ბრუმელის მსოფლიოს რეკორდისა, რომელსაც ეს შვიდი წელიწადია ვერც კი მიუახლოკდნენ მსოფლიოს უძლიერესი მხტომელები.

ვიდრე სპეციალისტები კამათობდნენ, სპორტსმენები ცდილობდნენ პრაქტიკულად შეემოწმებინათ ოლიმპიური ჩემპიონის სიახლე. გაჩნდნენ ფოსბიურის მიმდევრები (მათ შორის, საბჭოთა სპორტსმენებიც). ბევრმა მათგანმა წარმატებაც მოიპოვა. მხტომელები, რომელნიც ძველი „მხედრული“ ხტომით ერთგულნი დარჩნენ, არ თმობენ თავიანთ პოზიციებს, წინსვლას განაგრძობენ. მაგალითად, საბჭოთა სპორტსმენმა ვ. გავრილოვმა, რომელიც „მხედრულით“ ხტება, მოიგო ევროპის საზაფხულო ჩემპიონატი ათენში, ხოლო ზამთრისა — ვენაში. ამ რამდენიმე ბნის წინ მან უნივერსიადაში მოიპოვა გამარჯვება.

ამრიგად, „ფლოპი“ თუ „მხედრული“? ახალი ამბავი ის საავგენტო მკითხველს სთავაზობს პოპულარული საბჭოთა მხტომელის, ამჟამად მწვრთნელის ი. კაშკაროვის მოსაზრებას ამ თემაზე.

უპირველეს ყოვლისა: რას წარმოადგენს ეს ხტომი „ფლოპით“?

მხტომელი გარბენს იწყებს ისე, რომ მისი მთრაობა თამასასთან მახვილ კუთხეს ადგენს, უკანასკნელ სამ-ოთხ ნაბიჯზე რკალს აკეთებს, თითქოს თამასის გასწვრივ უნდა გაირბინოსო. შემდეგ — ბიძგი დაშორებული ფეხით. ბიძგის დასასრულს მხტომელი თამასისადმი ზურგით არის მიტრიალებული და ამ მდგომარეობაში გადაევლება მას.

ვერაფერს იტყვი, ეფექტური, სანახაობრივად — ლამაზი ხტომია. როცა დ. ფოსბიურიმ პირველად გვიჩვენა ეს ილეთი, სპეციალისტები დაეჭვდნენ. წარმოიშვა კითხვა: დასაშვებია თუ არა ასე ხტომა წესებით? წესებით მაგალითად, აკრძალულია ორივე ფეხით ერთდროულად არეკნის გაკეთება. ბოლოს და ბოლოს, საერთაშორისო მძლეოსნური ფედერაცია დათანხმდა „ფლოპს“. მაშინ დაიწყო ლაპარაკი, რომ ასე ხტომა სახიფათოა, რომ მხტომელი შეიძლება დაშავდეს როცა ხახტომის შემდეგ უფრო სწირად კისრით ეშვება, ხოლო შემდეგ ინერციით ზურგზე ტრიალდება. მართლაც „ფლოპი“ სახიფათო სტილია; იმავე ფოსბიურის ბევრჯერ მიუღია სერიოზული ტრავმა, რის გამოც სწირად არ გამოდიოდა სარბიელზე, ხოლო თუ გამოდიოდა, ბუნებრივია, ვეღარც უწინდებურ შედეგებს აღწევდა (მეხიკოში გამარჯვების შემდეგ, სადაც 224 სმ-ზე გადახტა, ფოსბიური უკვე ვეღარ მიუახლოვდა ასეთ სიმაღლეს).

მიუხედავად ამისა „ფლოპს“ მომდევრები გაუჩნდა. ბევრი მხტომელი გართობის მიზნით იყენებდა ახალ ხერხს, რომელსაც მრავალფეროვნება შეჰქონდა წვრთნაში და დამხმარე ვარჯიშის სახით სრულდებოდა. სხვები, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შეძლეს „მხედრული“ ხერხით წარმატების მიღწევა, უფრო სერიოზულად მოეკიდნენ „ფლოპს“. საქმე ის არის, რომ ახალი სტილი ჩვენთვის ფიზიკური შესაძლებლობების უკეთ გამოყენების საშუალებას იძლევა, რადგან ამ დროს სისწრაფე ფაქტიურად არ იფარგლება ქანით, არ ქრება. გარბენიდან არეკნში გადასვლა აქ სიგრძეზე ხტომის იმავე ფაზებს წაგავს. თუმცა, შეზღუდული ვიზუალური კონტროლი (თამასაზე გადავლებისას მხტომელი მისკენ ზურგით არის მიქცეული) შედეგების სტაბილურობას არ განაპირობებს.

ობიექტური მონაცემები: წლეულს ევროპის მხტომელთა შორის საუკეთესო შედეგი (2,23) აჩვენა ვილნიუსელმა სტუდენტმა კ. შაპკამ, რომელიც „ფლოპით“ ხტება. საუკეთესოთა სამეულში შედის კიდევ ერთი სპორტსმენი, რომელმაც ახალი ხერხი აირჩია: უნგრელი ი. მაიორი (220 სმ). ყველა სეზონის მიხედვით შედგენილი 25 უძლიერესი მხტომელის სიაში ახლა ოთხი სპორტსმენია „ფლოპის“ მიმდევარი, ქალებში—5.

ახალი სტილის დაბადებას განსაკუთრებული სისარულით შეხვდნენ ჭრაველტჰელები, რომელთაც არ ჰყოფნით დრო „მხედრული“ სტილის დახვეწილი ტექნიკის დასამუშავებლად. „ფლოპი“ მიუხედავად მისი გარეგნული სართულისა, შედარებით მარტივია, იგი მრავალჭიდელებს საშუალებას აძლევს, რომ უფრო სრულად გამოიყენონ სხვა დისციპლინებში (სპრინტში, სიგრძეზე ხტომაში) შეძენილი თვისებები. საინტერესოა საბჭოთა მძლეოსნის მ. ბარიბანის (ამჟამად იგი სიგრძეზე ხტომას ამჯობინებს, ხოლო სულ ახლახან ათჭიდელი იყო) მაგალითი. „მხედრული“ ხერხით იგი 180 სმ-ზე ხტებოდა, „ფლოპზე“ გადასვლის შემდეგ კი წლევანდელ სეზონში ჯერ ორმეტრიანი სიმაღლე დაძლია, შემდეგ კიდევ რამდენიმე სანტიმეტრი მოუმატა ამ შედეგს, ხოლო აგვისტოს შუა რიცხვებში ოფიციალურ შეჯიბრებებში 211 სმ გადალახა. გფრ-ის ხუთჭიდელმა კ. მაკმაც მიმართა „ფლოპს“. წლეულს იგი მოულოდნელად თავისი ქვეყნის რეკორდსმენი გახდა — 182 სმ.

თითქოს ეს ყველაფერი საკმარისი საბუთია ახალი ხერხის დასამკვიდრებლად: მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სპეციალისტი (და საკმაოდ ავტორიტეტულიც) მაინც აგრძელებს ამ სიახლის ღირსებების უარყოფას. ამ, მაგალითად, ვ. ბრუმელის აზრი:

დარწმუნებული ვარ, რომ სიმაღლეზე ხტომის ყველაზე რაციონალური სტილი „მხედრული“ ხერხია. ფოსბიურის თვითონ რომ შეესწავლა იგი, პირად რეკორდს 3-4 სანტიმეტრს კიდევ მიუმატებდა. აღარას ვამბობ იმაზე, რომ „ფლოპით“ ხტომის დროს სულ ადვილად შეგიძლია კისერი მოატეხო. რაკი ეს ასხოვს, სპორტსმენი ფრთხილობს, რისკის ეშინია და ამიტომ საუკეთესო შედეგსაც ვერ აღწევს.

როგორც ჩანს, ცოტა განსხვავებულ პოზიციებზე დგას ვ. ლონსკი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, გაბედული ექსპერიმენტატორი. თავის მშობლიურ ქალაქ ბერდიჩევში (უკრაინის სსრ) ლონსკიმ ჩინებული მხტომელების მთელი პლეადა აღზარდა. მათ შორის არიან ვ. სკვორცოვი, ა. მოროზი, რ. ახმეტოვი, ი. მატვეევი. ჩემთვის ცნობილია, რომ ლონსკი ჰაბუკ მხტომელებთან კლასიკურად „მხედრულ“ ხერხს ამუშავებს, მაგრამ ამავე დროს მან ხელი მოჰკიდა ახალბედების ჯგუფს, რომელებმაც თავიდანვე „ფლოპის“ შესწავლა დაიწყეს.

პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ „ფლოპის“ განვითარება შესაძლებელი გახდა სპორტული მოწყობილობის (ჩვენს შემთხვევაში სახტომი ორმოები) სრულყოფის შედეგად. სულ ცოტა ხნის წინ ეს იყო ქვიშით ამოვსებული ჩვეულებრივი ორმოები. თანამედროვე სტადიონებზე დასტომის ადგილს პირობით თუ უწოდებ „ორმოს“: უფრო სწორად ესაა გიგანტური სალიწა, გაბერილი აჰ პოროლონით დატენილი. სპორტსმენებს უკვე ნაკლებად აწუხებთ დასტომის პრობლემა.

წესებში ცვლილებებმა დახმარება გაუწიეს „ფლოპს“. ერთ დროს აკრძალული იყო თამასაზე ჯერ ხელებითა და ტანის ზედა ნაწილით გადავლება, შემდეგ კი ფეხების გადატანა: ამჟამად ეს პუნქტი გაუქმებულია.

ამრიგად „ფლოპი“ თუ „მხედრული“? რომელს აქვს მომავალი, რომელია უფრო პერსპექტიული.

უნდა შევნიშნოთ, რომ ხტომის ერთი ხერხის მეორე უფრო ეკონომიური და რაციონალური ხერხით შეცვლა ბუნებრივი და გამართლებული პროცესია. თავის დროზე უბრალო „გადაბიჯებით“ ხტომა შეცვალა „გადაგორებით“ სტილმა (მხტომელი გარბენით თამასასთან რაღაც კუთხეს აღებდა, შემდეგ კი იგი გვერდზე დაწოლილი ევლებოდა თამასას); „გადაგორებით“ სტილს კონკურენციას უწევდა ამჟამად მივიწყებული „ტალღა“ (გარბენი სწორი კუთხით); შემდეგ გაჩნდა „მხედრული“ სტილი (სპორტსმენი მუცელზე დაწოლილი გადადის თამასაზე). ეს უფრო რაციონალური გზაა, რადგან სპორტსმენის სიმძიმის ცენტრი უფრო ახლოსაა თამასის დონესთან) „მხედრული“ სტილით მძლეოსნებმა უდიდეს შედეგებს მიაღწიეს, ხოლო ვ. ბრუმელმა მსოფლიო რეკორდი ფანტასტიკურ ციფრამდე (2,28) აიყვანა.

ვფიქრობ, „მხედრული“ სტილის მეორეხარისხოვან ხერხად მიჩნევა ჯერ ნაადრევია, თუმცა, ვაღიარებ „ფლოპის“ არამარტო ნაკლოვანებებს, არამედ გარკვეულ ღირსებებსაც (აქ ზემოთ ნათქვამს კიდევ ერთი ღირსება მინდა დავუმატო: ახალი სტილით ხტომის დროს გარბენიდან არეკნში გადასვლა პრაქტიკულად გამორიცხავს სიმაღლეზე მხტომელების მუხლის ხასრების „პროფესიულ“ ტრავმას). ჩემის აზრით: „მხედრული“ და „ფოსბიური-ფლოპი“ ამიერიდან ერთად იარსებებენ, ერთმანეთს შეეჯიბრებიან და მხოლოდ დრო გვიჩვენებს, რომელი მიაღწევს უპირატესობას. მაგრამ, ასე იქნება თუ ისე, მოგებული დარჩება სიმაღლეზე ხტომა, ეს ემოციური და როგორც მე მიმაჩნია, მძლეოსნობის ყველაზე ლამაზი სახეობა.

მეორე შედეგი

მელბურნი. ავსტრალიაში მძლეოსნური სეზონი დაიწყო. პირველივე შეჯიბრებაში თავი ისახელა 18 წლის ქალიშვილმა პ. რივერსმა, რომელმაც შუბის ტყორცნაში იუნიორთა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მისი შედეგი — 61,77 მეტრი ამ სახეობის ისტორიაში მეორეა და მხოლოდ ე. გორჩაკოვას (სსრ კავშირი) მიერ ტოკიოს ოლიმპიადაში დამყარებულ მსოფლიო რეკორდს (62,40 მ) ჩამოუვარდება.

ИНДЕКС 66448 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 11. — 8 — უე 04463